აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 24

04 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამაზ შარმანაშვილი, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, ირაკლი გვარამია, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე და ანზორ ბაღათურია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაციების: „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, „სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „ახალი თაობა – ახალი ინიციატივის“, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური მოძრაობის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ (მგს), „ჩვენ თვითონ“-ის, „ქართული დასი“-ს და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები. პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ (მგს) აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ირაკლი ჯაში. უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსი ფრიდონ ბათნიძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

კომისიის წევრებმა დავით რობაქიძემ და ლევან გაბრიჩიძემ კომისიის წინაშე დააყენეს საკითხი წარმოდგენილი დღის

წესრიგის დამტკიცებამდე მასში შეტანილი ყოფილიყო ცვლილება და დღის წესრიგს დამატებოდა ინფორმაციის სახით რამოდენიმე საკითხი. კერძოდ: 2008 წლის 3 ნოემბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნების კენჭისყრის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის ცვლილების გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. საჩივრის განხილვის შესახებ;

(მომხ: თ. შარმანაშვილი)

2. ინფორმაცია - კენჭისყრის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ.

(მომხ: დ. რობაქიძე)

1. საჩივრის განხილვის შესახებ;

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო საარჩევნო სუბიექტის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ საჩივარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 03 ნოემბრის არჩევნების შედეგების ბათილად ცნობისა საარჩევნო ღონისძიებათა ახალი ვადის განსაზღვრისათვის დადგენილების მიღების, საქართველოს პრეზიდენტისათვის არჩევნების ახალი თარიღის დანიშვნისათვის, წინადადების წარდგენის შესახებ, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ მიმართა უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის იურიდიული სამსახურის

უფროსს ფრიდონ ბათნიძეს განემარტა კომისიისათვის საქმის არსის შესახებ.

უსკო-ს აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსმა ფრიდონ ბათნიძემ აღნიშნა, რომ პოლიტიკური გაერთიანება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელის საჩივარი - ბათილად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნები, არ უნდა დაკმაყოფილდეს მისი უსაფუძვლობის გამო, ვინაიდან უსკოს არ დაურღვევია საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. მან აღნიშნა, რომ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობაში კონკრეტულად და ამომწურავადაა განსაზღვრული საეთერო დროს გამოყოფის წესი, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი და ადგილობრივი მაუწყებელი ვალდებულია აღიაროს კვალიფიციურ სუბიექტად და გამოუყოს უფასო საეთერო დრო წინასაარჩევნო რეკლამისათვის საარჩევნო სუბიექტს და არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია. ასევე აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრულია თუ რომელ საარჩევნო სუბიექტს უნდა მიეცეს უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების უფლება. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 73^1 მუხლის მე-2, მე-4, მე-6 პუნქტებით განსაზღვრულია წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა, რომლის მიხედვითაც მხოლოდ საზოგადოებრივი და ადგილობრივი მაუწყებელია ვალდებული აღიაროს კვალიფიციურ სუბიექტად და გამოუყოს უფასო საეთერო დრო წინასაარჩევნო რეკლამისათვის შემდეგ საარჩევნო სუბიექტს: - რომელიც საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია ფრაქციით, - რომელმაც უკანასკნელ საყოველთაო არჩევნებში პროპორციული სისტემის საფუძველზე მიიღო საქართველოს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4%-ისა, - ადგილობრივი მაუწყებელი ვალდებულია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია/ბლოკი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომლის კანდიდატმა ადგილობრივი მაუწყებლის მომსახურების ზონაში შემავალ მაჟორიტარ საარჩევნო ოლქში ბოლო საპარლამენტო არჩევნებში (2008 წლის 21 მაისის საქართველოს პარლამენტის არჩევნები) გაიმარჯვა, გავიდა მეორე ტურში, მიიღო ხმების არანაკლებ 25%-ისა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს არჩევნებში (2006 წლის 5 ოქტომბრის

ადგილობრივი თვითმმართველობის-საკრებულოს არჩევნები) მიიღო ხმების არანაკლებ 25%-ისა, რითაც უსკო-ს არ დაურღვევია დაინტერესებული მხარის უფლებები და კანონიერი ინტერესი. ასევე აღნიშნა, რომ საჩივარში დაყენებული მოთხოვნა ბათილად იქნას ცნობილი არჩევნების შედეგები და საარჩევნო ღონისძიებათა ახალი ვადების განსაზღვისა და საქართველოს პრეზიდენტისათვის წინადადების წარდგენა არჩევნების ახალი თარიღის დანიშვნის თაობაზე, ვერ დაკმაყოფილდება, რადგანაც ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი არ ითვალისწინებს საჩივარში მითითებული საფუძვლით არჩევნების შედეგების ბათლიდ ცნობისა და ხელახალი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნებს.

პ/გ ,,მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" (მგს) აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ირაკლი ჯაში მიესალმა კომისიის წევრებსა და აღნიშნა, რომ არ ჰქონდა სურვილი ეს საკითხი ასე შორს წასულიყო, მაგრამ როცა მომართა უმაღლეს საარჩევნო კომისიას ეკუთვნოდა თუ არა უფასო საეთერო დრო პ/მ ,,მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" უსკოსგან მიღებული პასუხი მისთვის არ იყო დამაკმაყოფილებელი, რაც მითითებული იყო წერილში. მან მიმართა კომისიას გაეცათ პასუხი იყო თუ არა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის ტელევიზიისაგან მოითხოვა პასუხი რატომ არ ეძლეოდა პარტიას უფასო საეთერო დრო, ხოლო ტელევიზიისგან მიწოდებული იქნა მისთვის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ აჭარის საქვეუწყებო ორგანიზაცია ,,აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის" მიწოდებული მიმართვა (წერილი), რომელშიც არ იყო მითითებული პ/გ ,,მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიარების ფაქტი. მან აღნიშნა, რომ ყოველივე აღნიშნულმა გარემოებამ იმოქმედა პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაზე, რადგანაც მათ არ ჰქონდათ საშუალება ტელევიზიაში სარეკლამო რგოლების განთავსებისა და ტელედებატებში მონაწილეობის მიღებისა, რაც აისახება არჩევნების შედეგებში მიღებული დაბალი პროცენტული მაჩვენებლებით და მოითხოვა იმ ზარალის ანაზღაურება, რაც მიყენებული იქნა პარტიისათვის უმაღლესი საარჩევნო კომისიის არასწორი გადაწყვეტილების შედეგად, რის საფუძველზეც არ ჰქონდა პ/გ ,,მრეწველობა გადაარჩენს

საქართველოს“ ეწარმოებინათ აქტიური წინასაარჩევნო კამპანია და საკუთარი პროგრამა გაეცნოთ ამომრჩეველთათვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ რაიმე მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებმა დავით რობაქიძემ, ლევან გაბრიჩიძემ, მამუკა ჯაშმა, ასლან ჩავლეიშვილმა, გია გარსევანიშვილმა, „აჭარის მთავრობის საქვეუწყებო ორგანიზაცია აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტის“ წარმომადგენელმა, „ახალი თაობა – ახალი ინიციატივის“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელებმა.

„აჭარის მთავრობის საქვეუწყებო ორგანიზაცია აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აჭარის ტელევიზიას მიმართა როგორც პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ირაკლი ჯაშმა, ისე არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა – ახალი ინიციატივას“ წარმომადგენლებმა და მოითხოვეს პასუხი თუ რატომ არ ეძლეოდა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ უფასო საეთერო დრო, რაზეც ტელევიზიის პასუხი იყო ის, რომ თუ პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ წარმოადგენდა სარეკლამო რგოლებს, ტელევიზია უზრუნველყოფდა აღნიშნული რეკლამების ეთერში უსასყიდლოდ გაშვებას.

„ახალი თაობა – ახალი ინიციატივის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რის საფუძველზე აძლევდა ტელევიზია პარტიას უფასო საეთერო დროს, ვინ გადაიხდიდა ამ თანხას. აგრეთვე მიმართა კომისიას გაეცათ კონკრეტულ კითხვაზე კონკრეტული პასუხი არის თუ არ პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი.

მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა კითხვაზე იყო თუ არა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი დაეთანხმა და აღნიშნა, რომ რაც შეეხება პარტიაზე უფასო საეთერო დროს გამოყენებას, უსკო ვერ გადაწყვეტდა. ამ საკითხს არეგურილებს საარჩევნო კანონმდებლობა, სადაც აღნიშნულია კონკრეტულად თუ ვინ

არის უფლებამოსილი გამოუყოს უფასო საეთერო დრო კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს.

კომისიის წევრმა ლევან გაბრიჩიძემ დასვა კომისიის წინაშე კითხვა აქვს თუ არა უმაღლეს საარჩევნო კომისიას უფლება აღიაროს ან არ აღიაროს პ/გ ,,მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს'' კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად. ასევე კომისიას გააცნო უსკოს მიერ აჭარის ტელევიზიაზე დამატებით მიწოდებული წერილის შინაარსი, სადაც კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად მითითებულია პ/გ ,,ქართული დასი'' და დასვა კითხვა რატომ არ იქნა მითითებული ის, რომ ,,მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს'' არის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი.

მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა აღნიშნა, რომ უსკო ვერ აღიარებდა პ/გ ,,მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს'' კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად. რაც შეეხება ტელევიზიისადმი გაგზავნილ მიმართვას (წერილში) მითითებული იქნა ის საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც აკმაყოფილებენ ,,აჭარის ავტონომიური უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ'' კანონის 73 და 73^1 მუხლებს. ასევე აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უმაღლეს საარჩევნო კომისიას კანონმდებლობა არ დაურღვევია და თუ დაარღვია, მაშინ ვინც თვლის, რომ უსკო-ს მიერ დარღვეული იქნა საარჩევნო კანონმდებლობა მითითებული იქნას კონკრეტული მუხლი, თუ რომელი მუხლის მოთხოვნები იქნა დარღვეული ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის'' წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ,,აჭარის ავტონომიური უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ'' კანონის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ვ'' პუნქტის მიხედვით უმაღლესი საარჩევნო კომისია დადგენილებით განსაზღვრავს საარჩევნო პროცესში მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო და ასახელმწიფო საშუალებათა მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესს. ამ კანონისა და საქართველოს სხვა კანონების შესაბამისად და აკონტროლებს მის შესრულებას. გამომდინარე აქედან, უმაღლეს საარჩევნო კომისიას უნდა განესაზღვრა და გაეწია კონტროლი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 2008 წლის 08 სექტემბერს მიღებული იქნა №6 დადგენილება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008

წლის 3 ნოემბრის არჩევნების პროცესში მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო და არასახელმწიფო საშუალებათა მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესის შესახებ“, ამიტომაც ეს საკითხი მოწესრიგებულია და მიმდინარეობს მის შესრულებაზე (კონტროლი) მონიტორინგი.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომაზე სხვა მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე არ გამოთქმულა.

მომხსენებელმ აღნიშნა, ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე მეტი წინადადებები და მოსაზრებები აღარ იყო კენჭი ეყარათ წინადადებაზე ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა მომხსენებლის წინადადება - ადმისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 7;
წინააღმდეგი 6;
(კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

2008 წლის 3 ნოემბერს პოლიტიკური გაერთიანება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილ იქნა საჩივარი, რომლითაც მოითხოვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 03 ნოემბრის არჩევნების შედეგების ბათლიად ცნობასა და საარჩევნო ღონისძიებათა ახალი ვადის განსაზღვრისათვის დადგენილების მიღებას, საქართველოს პრეზიდენტისათვის არჩევნების ახალი თარიღის დანიშვნის შესახებ წინადადების წარდგენას, იმ მოტივით, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის 6^1 პუნქტის, 75-ე მუხლისა და საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73^1 მუხლების თანახმად, დაირღვა მისი როგორც კვალიფიციური საარჩვენო სუბიექტის უფლება, ისარგებლოს უფასო საეთერო დროით.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 75-ე მუხლის შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაცია) წარმოება და საინფორმაციო უზრუნველყოფა რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო

კოდექსით“ დადგენილი წესითა და დადგენილი ვადებით, იმ პირობით რომ, უფასო საეთერო დროის გამოყოფის საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ საზოგადოებრივი მაუწყებლისა და სხვა მაუწყებლებისათვის გათვალისწინებული ვალდებულებები შესაბამისად ვრცელდება მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტზე და იმ მაუწყებლებსა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებზე, რომელთა სათაო ოფისებიც განლაგებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 73^1 მუხლის მე-2, მე-4, მე-6 პუნქტებით განსაზღვრულია წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა, რომლის მიხედვითაც მხოლოდ საზოგადოებრივი და ადგილობრივი მაუწყებელია ვალდებული ამ ნორმით დადგენილ შემთვევაში აღიაროს კვალიფიციურ სუბიექტად და გამოუყოს უფასო საეთერო დრო წინასაარჩევნო რეკლამისათვის შემდეგ საარჩევნო სუბიექტს:

ა) რომელიც საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია ფრაქციით;

ბ) რომელმაც უკანასკნელ საყოველთაო არჩევნებში პროპორციული სისტემის საფუძველზე მიიღო საქართველოს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4%-ისა;

გ) ადგილობრივი მაუწყებელი ვალდებულია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია/ბლიკი: რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 73^1 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომლის კანდიდატმა ადგილობრივი მაუწყებლის მომსახურების ზონაში შემავალ მაჟორიტარ საარჩევნო ოლქში ბოლო საპარლამენტო არჩევნებში (2008 წლის 21 მაისის საქართველოს პარლამენტის არჩევნები) გაიმარჯვა, გავიდა მეორე ტურში, მიიღო ხმების არანაკლებ 25%-ისა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს არჩევნებში (2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის-საკრებულოს არჩევნები) მიიღო ხმების არანაკლებ 25%-ისა;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უმაღლეს საარჩევნო კომისიას არ დაურღვევია პ/გ “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ასევე საჩივარში დაყენებული მოთხოვნა ბათილად იქნეს ცნობილი არჩევნების შედეგები და საარჩევნო ღონისძიებათა ახალი ვადების განსაზღვისა და საქართველოს პრეზიდენტისათვის წინადადების წარდგენა არჩევნების ახალი თარიღის დანიშვნის თაობაზე, ვერ დაკმაყოფილდება რადგანაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი არ ითვალისწინებს საჩივარში მითითებული საფუძვლით არჩევნების შედეგების ბათლიად ცნობისა და ხელახალი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიტიკური გაერთიანება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელის საჩივარი ბათილად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 73^1 მუხლის მე-2, მე-4, მე-5, მე-6 პუნქტების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი „ყ“ ქვეპუნქტის, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-80[1] მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. არ დაკმაყოფილდეს პოლიტიკური გაერთიანება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელის ირაკლი ჯაშის ადმინისტრაციული საჩივარი უსაფუძვლობის გამო.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

2. ინფორმაცია - კენჭისყრის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა დავით რობაქიძემ აღნიშნა, რომ კომისიის ორ წევრთან, ლევან გაბრიჩიძესა და ირაკლი გვარამიასთან ერთად აწარმოებდა მონიტორინგს კენჭისყრის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ №79 ბათუმისა და №83 ხელვაჩაურის ოლქებში, სადაც კომისიის წევრებისგან იგრძნობოდა სრული უპატივცემულობა კომისიის ოპოზიციური წევრების მიმართ, დაფიქსირებული იქნა ამომრჩეველთა და კომისიის წევრების მოსყიდვები, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებები არსებობს როგორც ვიდეო, ასევე აუდიო მასალები. გარდა ამისა, რამოდენიმე საარჩევნო უბანი გახსნილია პოლიციისა და პროკურატურის შენობებში და კომისიას წარუდგინა ამის დამადასტურებელი ფოტოები. მან აღნიშნა, რომ განსაკუთრებით საარჩევნო პროცედურების დარღვევები დაფიქსირდა №82 შუახევისა და №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქებში, მან აღნიშნა, რომ მას და კომისიის წევრ ლევან გაბრიჩიძეს ზემოაღნიშნულ დარღვევებზე შემოტანილი აქვთ ერთობლივი განცხადება უმაღლეს საარჩევნო კომისიაში, რითაც მოითხოვენ №82 შუახევისა და №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიების არჩევნების შედეგების გაუქმებას და ხელახალი არჩევნების დანიშვნას, წინააღმდეგ შემთხვევაში დაისმებოდა უსკოს თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ და კომისიის წევრებმა ლევან გაბრიჩიძემ, ანზორ ბაღათურიამ, ირაკლი გვარამიამ და თამაზ შარმანაშვილმა.

კომისიის წევრმა ლევან გაბრიჩიძემ აღნიშნა, რომ რამოდენიმე უბანზე საარჩევნო პროცედურა მიმდინარეობდა საარჩევნო

კანონმდებლობის სრული დარღვევებით. მან აღნიშნა, რომ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ უბნები განთავსებულია პოლიციისა და პროკურატურის შენობებში. ერთერთ შენობაზე ჩამონათვალში მითითებულია, რომ ეს არის ყოფილი კოლმეურნეობის შენობა, სადაც ამჟამად პოლიციაა განთავსებული, რაც აშკარა კანონდარღვევაა. მან აღნიშნა, რომ თუ არ იქნება კომისიის წევრების შენიშნვები გათვალისწინებული №82 შუახევისა და №83 ხელვაჩაურის ოლქებში არჩევნების შედეგების გაუქმების შესახებ, დადგებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის პასუხისმგებლობის საკითხი.

კომისიის წევრმა ირაკლი გვარამიამ აღნიშნა, რომ პირადად შეესწრო რამოდენიმე ფაქტს, როცა საუბნო საარჩევნო კომისიის ცამმეტივე წევრს წინასწარ ჰქონდა ხელი მოწერილი შემაჯამებელი ოქმებზე. ასევე აღნიშნა, რომ ერთერთ ასეთ ფაქტს შეესწრო №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მანუჩარ გამყრელიძე. გარდა ამისა იყო ფაქტები, როცა რამდენიმე უბანზე მეტი იყო ამომრჩეველთა რაოდენობა, ვიდრე ბიულეტენების.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის თავმჯდომარეს მანუჩარ გამყრელიძეს გაეკეთებინა განმარტება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

№79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მანუჩარ გამყრელიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით შემოსულია განცხადება/საჩივრები ოლქში და კანონით დადგენილ ვადაში მოხდება მისი განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიეცეს დავალებები ყველა ოლქის თავმჯდომარეს დროულად განიხილონ და მიიღონ გადაწყვეტილება ყველა საჩივრიზე/განცხადებაზე რაც შესულია ოლქში.

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია